



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

---

საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა

ფარმაცევტული პრეპარატების ქიმია და ტექნოლოგია

ქუთაისი  
2014-2018

1. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ფარმაცევტული პრეპარატების ქიმია და ტექნოლოგია
2. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: პირველი საფეხური (ბაკალავრიატი)
3. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის ბაკალავრი  
Bachelor of chemical and biological engineering
5. პროგრამის მოცულობა: 240 (ECTS) კრედიტი/6000 ასტრონომიული საათი (1 კრედიტს შეესაბამება 25 ასტრონომიული საათი)
6. სწავლების ენა: ქართული
7. პროგრამის ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორი ინგა ბოჭოძე
8. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელმაც წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები.
9. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია მსოფლიოში პერსპექტიულ დარგს წარმოადგენს, კიდევ უფრო აქტუალურია ამ დარგის განვითარება ფარმაცევტული ტექნოლოგიის მიმართულებით. თანამედროვე ფარმაცევტული მეცნიერების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს უსაფრთხო, ეკოლოგიურად სუფთა პრეპარატების წარმოება, რომლებსაც არ ახასიათებს თანმდევი ეფექტები. ამ მიზნით, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ბუნებრივი სამკურნალო ნედლეული, რადგანაც მათ არ ახასიათებთ ის ნაკლოვანებები, რაც დამახასიათებელია მრავალი სინთეზური წარმოშობის სამკურნალო საშუალებებისადმი. საქართველოს უნიკალური სანედლეულო რესურსები ამ მიმართულებით განვითარების საფუძველს იძლევა, ხოლო ის ტრადიციები, რომლებიც ქვეყანას გააჩნია ადორმინების პროცესშია. საქართველოში იქმნება ფარმაცევტული კორპორაციები და საწარმოები, რომლებიც საკუთარ პროდუქციას უშვებენ და ორიენტირებულნი არიან, როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებზე. ქვეყანაში შეიქმნა სამუშაო ადგილები და გაჩნდა მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებზე.

პროგრამის მიზანია უზრუნველყოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება ფარმაცევტული პრეპარატების ქიმიისა და ტექნოლოგიის სფეროში; მისცეს სტუდენტებს ფუნდამენტალური განათლება ქიმიურ და ბიოლოგიურ მეცნიერებებში; შეუქმნას პირობები აკადემიური და კარიერული წინსვლისათვის; მოამზადოს ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის ბაკალავრები, რომლებსაც ექნებათ ანალიტიკური აზროვნების

და გადაწყვეტილებების მიღების უნარი და რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შეძლებენ:

- ❖ ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ქიმიური ანალიზისა და სინთეზის განხორციელებას, სამკურნალო მცენარეული ნედლეულის გადამამუშავების ტექნოლოგიის შემუშავებასა და ორგანიზაციას;
- ❖ ქიმიური, ფარმაცევტული და კოსმეტიკური საშუალებებისა და სამკურნალო ფორმების დამზადებას, ტექნოლოგიური პროცესებისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების შერჩევას, მათი სწორად განთავსებისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის უზრუნველყოფის ჩათვლით;
- ❖ ფარმაცევტული და პარფიუმერულ-კოსმეტიკური საშუალებების დამამზადებელი საწარმოების ძირითადი მაჩვენებლების განსაზღვრას, ქიმიური და ფარმაცევტული საქონლის მარკეტინგული კვლევის წარმოებას, ფარმაცევტული ორგანიზაციების და დაწესებულებების სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მართვას;
- ❖ სამკურნალო საშუალებების და სამკურნალო მცენარეული ნედლეულის ხარისხის კონტროლს დამამუშავების, მიღების, გამოყენებისა და შენახვის ეტაპებზე, ფარმაცევტული პროდუქციის გამოკვლევებს და კონტროლს საერთაშორისო სტანდარტების და მოთხოვნების შესაბამისად.

## 10. დასაქმების სფეროები

ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს ქიმიური, ფარმაცევტული და კოსმეტიკური პრეპარატების მრეწველობის საწარმოებში და ფირმებში სხვადასხვა პოზიციებზე.

კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროებია:

- ქიმიური და ფარმაცევტული საწარმოები, კორპორაციები და კომპანიები;
- სააფთიაქო ქსელი;
- შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები;
- პროფესიულ სასწავლო დაწესებულებები;
- ფარმაცევტული პროდუქციის სერტიფიკაციის, სტანდარტიზაციის და ხარისხის კონტროლის სამსახურები.

სურვილის შემთხვევაში კურსდამთავრებულს შეუძლიათ სწავლა გააგრძელონ მაგისტრატურაში.

## 11. სწავლის შედეგი

- **ცოდნა და გაცნობიერება**

პროგრამის გავლის შედეგად კურსდამთავრებულები შეიძენენ საფუძვლიან ცოდნას იმ საბაზო და სპეციალურ დისციპლინებში, რომლებიც გათვალისწინებულია საბაკალავრო პროგრამით; ბაკალავრებს ეცოდინებათ: სამკურნალო პრეპარატების ქიმიური შედგენილობა, ექსპერიმენტის განხორციელების ძირითადი მეთოდები; ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების ძირითადი მიმართულებები, ფარმაცევტული, პარფიუმერული და კოსმეტიკური საშუალებების დამზადებისა და შენახვის ტექნოლოგიები, ფარმაცევტული წარმოების ძირითადი ტექნოლოგიური პროცესები და მოწყობილობები; ფარმაცევტული პროდუქციის ხარისხის შეფასების მეთოდები.

აცნობიერებენ: დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე უსაფრთხოებისა და შრომის ჰიგიენის დაცვის აუცილებლობას; ინჟინრული გადაწყვეტილების გავლენას ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებზე; ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში ფარმაცევტული წარმოების განვითარების როლს, მნიშვნელობასა და პერსპექტივებს.

- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

ამ პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები ეწევიან პრაქტიკულ საქმიანობას ქიმიურ, ბიოლოგიურ და ფარმაცევტულ საწარმოებში, შესაბამისი დარგის სხვა ორგანიზაციებში; აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ მეთოდები, სიახლეები და თანამედროვე საშუალებები ქიმიურ და ფარმაცევტულ საინჟინრო პრაქტიკაში.

მათ შეუძლიათ:

- წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად დაგეგმონ და ჩაატარონ ექსპერიმენტები;

- სისტემების, ელემენტების ან პროცესების შემუშავება ტექნოლოგიურობის და მდგრადობის, ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ფაქტორების გათვალისწინებით;

- ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიური სქემის მომზადება. ძირითადი მაჩვენებლების ანგარიში;

- ქიმიური, ფარმაცევტული და კოსმეტიკური საშუალებების ხარისხის შეფასება;

- ტექნიკური პრობლემების იდენტიფიცირება, ფორმულირება და გადაწყვეტა.

- **დასკვნის უნარი**

პროგრამის გავლის შედეგად ბაკალავრებს შეეძლებათ სხვადასხვა დარგობრივი პრობლემების გადასაწყვეტად მონაცემების ანალიზი, შეპირისპირება და დასაბუთებული დასკვნის გამოტანა. შეეძლებათ გამოიკვლიონ და გაანალიზონ ქიმიურ და ფარმაცევტული ტექნოლოგიებში ახალი მეთოდებისა და საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა. შედეგად: განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, მოწინავე იდეების და თანამედროვე ტექნოლოგიების განზოგადება ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების მიმართულებით (ტექნოლოგიური, ეკონომიკური, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ფაქტორების გათვალისწინებით), რაც შესაბამისი არგუმენტაციით იქნება გამყარებული.

- **კომუნიკაციის უნარი**

კურსდამთავრებულებს ექნებათ უნარი და შესაძლებლობა ეფექტურად იურთიერთონ წერიტი და ზეპირი მოხსენებების სახით, შეძლებენ აწარმოონ აკადემიურად გამართული წერილობითი და ელექტრონული კორესპონდენციები. უცხო ენის ცოდნა აუცილებელია, როგორც უცხოელებთან თავისუფალი კომუნიკაციის, ისე დარგის შესაბამისი ლიტერატურის გაცნობის დონეზე. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე მათ შეუძლიათ ლათინურ ენაზე შესაბამისი დონის კომუნიკაცია; ისინი შეძლებენ სამკურნალო პრეპარატების დამზადების ტექნოლოგიის, ხარისხის კონტროლის და შენახვის მარეგლამენტირებელი პირობების, ნორმატიული დოკუმენტების გაცნობასა და დამუშავებას.

- **სწავლის უნარი**

ითვალისწინებს მოწინავე იდეებს აკადემიური განათლების მისაღებად, მათ შორის უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე. აქვს საკუთარი ცოდნის შეფასებისა და შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრის უნარი. ცოდნის განახლების უნარი.

ბაკალავრებს შეექმნებათ ნათელი წარმოდგენა დარგის სპეციალიზაციებზე და მიმართულებებზე, რაც მათ საშუალებას მისცემს განსაზღვრონ თუ რა მიმართულებით განაგრძობენ საკუთარი ცოდნის სრულყოფას სწავლების შემდგომ საფეხურზე.

- **ღირებულებები**

მათ აქვთ მაღალი პროფესიული, ეთიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობა. აფასებენ დამკვიდრებულ ღირებულებებს და მონაწილეობენ ახალი ღირებულებების ფორმირებაში. ფარმაცევტული პრეპარატების დამზადებისა და წარმოებისას იცავენ ეფექტურობის, უსაფრთხოების, ხარისხიანობის და ხელმისაწვდომობის პრინციპებს.

## 12. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლება ორმხრივი აქტივობაა და ორივე მხარის პროფესორის და სტუდენტის მიერ განხორციელებადი პროცესია, კერძოდ სწავლა-გადაცემა (პროფესორი, პედაგოგი) და სწავლა-შეთვისება (სტუდენტი).

სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას;
- ლაბორატორიულ სამუშაოებს;
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- სასწავლო პრაქტიკას;
- საწარმოო პრაქტიკას;
- გამოცდების ჩაბარებას.

სალექციო მეცადინეობებზე გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები: ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დემოსტრირების მეთოდი, შემთხვევის ანალიზი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, დისკუსია;

პრაქტიკულ მეცადინეობებზე გამოიყენება: ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დისკუსია, ქმედებაზე ორიენტირებული მეთოდი, წერის მეთოდი, ელექტრონული მეთოდი;

ლაბორატორიულ მეცადინეობებზე გამოიყენება: ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული მეთოდი, წერის მეთოდი, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება;

დამოუკიდებელი მეცადინეობებისთვის გამოიყენება წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერის მეთოდი, ევრისტიკული და ელექტრონული მეთოდები.

1. ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
2. დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.
3. შემთხვევის ანალიზი (Case study) - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს.
4. დისკუსია/დებატები – ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
5. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.
6. ჯგუფური (collaborative) მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
7. თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

8. ევრისტიკული მეთოდი – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

9. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

10. ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.

- სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან კონკრეტულისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.

- სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

- სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

- სინთეზის მეთოდი გულისხმობს შეზრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

11. ელექტრონული სწავლება (E-learning) – ეს მეთოდი მოიცავს სწავლების სამ სახეს:

- დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით.

- ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური), სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში.

- მთლიანად დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას პროფესორის ფიზიკური თანდასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად ელექტრონული ფორმატით მიმდინარეობს.

პედაგოგი კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე იყენებს სწავლების შესაბამის მეთოდებს.

### 13. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებითა და აკადემიური საბჭოს 2009 წლის 30 ოქტომბრის დადგენილება №12 (09/10) განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ;

დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.  
დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.  
დადებითი შეფასება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.  
შეფასების სისტემა:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.



## 11. სასწავლო გეგმა

| სასწავლო კურსები/<br>მოდულები                          | კრედიტები სემესტრების მიხედვით |    |     |    |   |    |     |      | ს ა ა თ ე ბ ი ს<br>გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა |                                    |                   |                                        |                          | სულ საათების<br>რაოდ |
|--------------------------------------------------------|--------------------------------|----|-----|----|---|----|-----|------|----------------------------------------|------------------------------------|-------------------|----------------------------------------|--------------------------|----------------------|
|                                                        |                                |    |     |    |   |    |     |      | საკონტაქტო<br>საათები                  |                                    |                   |                                        | დამოუკიდებ<br>ლი საათები |                      |
|                                                        | I                              | II | III | IV | V | VI | VII | VIII | ლექცია                                 | პრაქტიკუ<br>ლი / ჯგუფში<br>მუშაობა | ლაბორატო<br>რიული | შეჯამებულ-<br>რი და საბოლ.<br>შეფასება |                          |                      |
| უცხო ენა 1                                             | 5                              |    |     |    |   |    |     |      |                                        | 60                                 |                   | 3                                      | 62                       | 125                  |
| უცხო ენა 2                                             |                                | 5  |     |    |   |    |     |      |                                        | 60                                 |                   | 3                                      | 62                       | 125                  |
| უცხო ენა 3                                             |                                |    | 5   |    |   |    |     |      |                                        | 60                                 |                   | 3                                      | 62                       | 125                  |
| უმაღლესი მათემატიკა-1                                  | 5                              |    |     |    |   |    |     |      | 15                                     | 30                                 |                   | 3                                      | 77                       | 125                  |
| უმაღლესი მათემატიკა-2                                  |                                | 5  |     |    |   |    |     |      | 15                                     | 30                                 |                   | 3                                      | 77                       | 125                  |
| ინფორმატიკა და საინფორმაციო<br>ტექნოლოგიები            | 5                              |    |     |    |   |    |     |      | 15                                     | 15                                 | 15                | 3                                      | 77                       | 125                  |
| ფიზიკა                                                 |                                | 5  |     |    |   |    |     |      | 15                                     | 15                                 | 15                | 3                                      | 77                       | 125                  |
| ზოგადი ბიოლოგია                                        | 5                              |    |     |    |   |    |     |      | 15                                     |                                    | 30                | 3                                      | 77                       | 125                  |
| ბოტანიკა                                               |                                | 5  |     |    |   |    |     |      | 15                                     |                                    | 30                | 3                                      | 77                       | 125                  |
| ზოგადი და არაორგანული ქიმია-1                          | 5                              |    |     |    |   |    |     |      | 15                                     |                                    | 30                | 3                                      | 77                       | 125                  |
| ზოგადი და არაორგანული ქიმია-2                          |                                | 5  |     |    |   |    |     |      | 15                                     |                                    | 30                | 3                                      | 77                       | 125                  |
| ორგანული და მმნ ქიმია-1                                |                                |    | 5   |    |   |    |     |      | 15                                     |                                    | 60                | 3                                      | 47                       | 125                  |
| ორგანული და მმნ ქიმია-2                                |                                |    |     | 5  |   |    |     |      | 15                                     |                                    | 60                | 3                                      | 47                       | 125                  |
| ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია                              |                                |    | 5   |    |   |    |     |      | 15                                     |                                    | 30                | 3                                      | 77                       | 125                  |
| ფიზ-კოლოიდური ქიმია                                    |                                |    | 5   |    |   |    |     |      | 15                                     | 15                                 | 15                | 3                                      | 77                       | 125                  |
| გამოყენებითი მექანიკა                                  |                                |    |     | 5  |   |    |     |      | 15                                     | 15                                 | 15                | 3                                      | 77                       | 125                  |
| საინჟინრო გრაფიკა                                      | 5                              |    |     |    |   |    |     |      | 15                                     |                                    | 30                | 3                                      | 77                       | 125                  |
| ანალიზური ქიმია                                        |                                |    |     | 5  |   |    |     |      | 15                                     |                                    | 30                | 3                                      | 77                       | 125                  |
| მეტროლოგია და სტანდარტიზაცია                           |                                |    |     |    | 5 |    |     |      | 15                                     | 15                                 | 15                | 3                                      | 77                       | 125                  |
| ელექტროტექნიკა და ელექტრონიკის<br>საფუძვლები           |                                |    |     |    | 5 |    |     |      | 15                                     | 15                                 | 15                | 3                                      | 77                       | 125                  |
| სასწავლო პრაქტიკა                                      |                                |    |     | 5  |   |    |     |      |                                        | 100                                |                   | 3                                      | 22                       | 125                  |
| საფაკულტეტო არჩევითი<br>სულ: (15 კრედიტი)              |                                | 5  | 5   | 5  |   |    |     |      |                                        |                                    |                   |                                        |                          |                      |
| 1.1. ქართული ენის სტილისტიკა და<br>მეტყველების კულტურა |                                | 5  |     |    |   |    |     |      |                                        | 45                                 |                   | 3                                      | 77                       | 125                  |
| 1.2.ფილოსოფია                                          |                                | 5  |     |    |   |    |     |      | 30                                     | 15                                 |                   | 3                                      | 77                       | 125                  |
| 2.1.საქართველოს ისტორია                                |                                |    | 5   |    |   |    |     |      | 30                                     | 15                                 |                   | 3                                      | 77                       | 125                  |
| 2.2.პოლიტოლოგია                                        |                                |    | 5   |    |   |    |     |      | 30                                     | 15                                 |                   | 3                                      | 77                       | 125                  |
| 1.3. მეორე უცხო ენა-1                                  |                                | 5  |     |    |   |    |     |      |                                        | 60                                 |                   | 3                                      | 62                       | 125                  |
| 2.3. მეორე უცხო ენა-2                                  |                                |    | 5   |    |   |    |     |      |                                        | 60                                 |                   | 3                                      | 62                       | 125                  |
| 3.3. მეორე უცხო ენა-3                                  |                                |    |     | 5  |   |    |     |      |                                        | 60                                 |                   | 3                                      | 62                       | 125                  |
| 3.1. პირველადი სამედიცინო დახმარება                    |                                |    |     | 5  |   |    |     |      | 15                                     | 30                                 |                   | 3                                      | 77                       | 125                  |
| 3.2. საგანგებო სიტუაციები და<br>სამოქალაქო თავდაცვა    |                                |    |     | 5  |   |    |     |      | 30                                     | 15                                 |                   | 3                                      | 77                       | 125                  |

| სასწავლო კურსები/<br>მოდულები                                    | კრედიტები სემესტრების მიხედვით |    |     |    |    |    |     |      | ს ა ა თ ე ბ ი ს<br>გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა |            |               |                               |                          | სულ საათების<br>რაოდ |
|------------------------------------------------------------------|--------------------------------|----|-----|----|----|----|-----|------|----------------------------------------|------------|---------------|-------------------------------|--------------------------|----------------------|
|                                                                  |                                |    |     |    |    |    |     |      | საკონტაქტო<br>საათები                  |            |               |                               | დამოუკიდებელი<br>საათები |                      |
|                                                                  | I                              | II | III | IV | V  | VI | VII | VIII | ლექცია                                 | პრაქტიკული | ლაბორატორიული | შუალედური და საბოლოო შეფასება |                          |                      |
| ფარმაცევტული ქიმია-1                                             |                                |    |     |    | 5  |    |     |      | 15                                     |            | 30            | 3                             | 77                       | 125                  |
| ფარმაცევტული ქიმია-2                                             |                                |    |     |    |    | 5  |     |      | 15                                     |            | 30            | 3                             | 77                       | 125                  |
| ტოქსიკოლოგიური ქიმია                                             |                                |    |     |    |    |    | 5   |      | 15                                     |            | 30            | 3                             | 77                       | 125                  |
| ფარმაცოლოგიის საფუძვლები                                         |                                |    |     |    |    |    |     | 5    | 15                                     |            | 30            | 3                             | 77                       | 125                  |
| ადამიანის ანატომია, ფიზიოლოგია                                   |                                |    | 5   |    |    |    |     |      | 15                                     |            | 30            | 3                             | 77                       | 125                  |
| ფარმაცოგნოზია                                                    |                                |    |     | 5  |    |    |     |      | 15                                     |            | 30            | 3                             | 77                       | 125                  |
| სამკურნალო მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია, იმუნოლოგია                |                                |    |     |    |    |    | 5   |      | 15                                     |            | 30            | 3                             | 77                       | 125                  |
| სამკურნალო საშუალებების სინთეზი                                  |                                |    |     |    | 7  |    |     |      | 15                                     |            | 60            | 3                             | 97                       | 175                  |
| ფარმაცევტული წარმოების პროცესები და აპარატები                    |                                |    |     |    |    | 5  |     |      | 15                                     | 30         |               | 3                             | 77                       | 125                  |
| ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ქიმია და ტექნოლოგია-1          |                                |    |     |    |    | 5  |     |      | 15                                     |            | 30            | 3                             | 77                       | 125                  |
| ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ქიმია და ტექნოლოგია-2          |                                |    |     |    |    |    | 5   |      | 15                                     |            | 30            | 3                             | 77                       | 125                  |
| ბიოტექნოლოგია                                                    |                                |    |     |    |    |    |     | 5    | 15                                     | 30         |               | 3                             | 77                       | 125                  |
| წამლის ფორმათა სააფთიაქო ტექნოლოგია                              |                                |    |     |    |    | 5  |     |      | 15                                     |            | 30            | 3                             | 77                       | 125                  |
| წამლის ფორმათა საქარხნო ტექნოლოგია-1                             |                                |    |     |    |    |    | 5   |      | 15                                     |            | 30            | 3                             | 77                       | 125                  |
| წამლის ფორმათა საქარხნო ტექნოლოგია-2                             |                                |    |     |    |    |    |     | 5    | 15                                     |            | 30            | 3                             | 77                       | 125                  |
| პარფიუმერული და კოსმეტიკური საშუალებების ტექნოლოგია              |                                |    |     |    |    |    |     | 5    | 15                                     |            | 30            | 3                             | 77                       | 125                  |
| ლათინური ენა და ტერმინოლოგია                                     |                                |    |     |    | 3  |    |     |      |                                        | 45         |               | 3                             | 27                       | 75                   |
| გამოყენებითი ეკოლოგია                                            |                                |    |     |    |    | 5  |     |      | 15                                     | 30         |               | 3                             | 77                       | 125                  |
| ფარმაცოეკონომიკა (მენეჯმენტისა და მარკეტინგის საფუძვლები)        |                                |    |     |    |    |    | 5   |      | 15                                     | 30         |               | 3                             | 77                       | 125                  |
| ფარმაცევტული პრეპარატების საქონელმცოდნეობა და ექსპერტიზა         |                                |    |     |    |    |    |     | 5    | 15                                     |            | 60            | 3                             | 47                       | 125                  |
